დანართი №2

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: ნატო ალავიძე წევრები: პაატა ცაგარეიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

დანართი №2

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ბათუმის სამედიცინო აკადემია

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 245419355

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 22 მაისის N409 ბრძანების საფუძველზე შექმნილმა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (ჯგუფის თავმჯდომარე - ნატო ალავიძე, ჯგუფის წევრი - პაატა ცაგარეიშვილი) 2018 წლის 28, 29 და 30 მაისს განახორციელა გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში (ს/კ 245419355) მისამართზე: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. N 118.

ექსპერტთა ჯგუფს ზემოაღნიშნული ბრძანებით დაევალა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების, კერძოდ, დაწესებულების მიერ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-6, მე-7 და მე-8 მუხლით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმება,

მონიტორინგის ვიზიტი 2018 წლის 28, 29 და 30 მაისს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის **(დანართი 9)** მიხედვით, რომელიც ბრძანებასთან ერთად წარედგინა დაწესებულებას უშუალოდ ვიზიტის დაწყების წინ.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შეამოწმეს: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათათან დაკავშირებული დოკუმენტაცია და პროგრამების განხორციელების პირობები, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცესები, დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი შესრულებისა და საქმიანობაში იმპლემენტაციის ხარისხი. ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მატერიალური რესურსის ვიზუალური დათვალიერება (შენობა, აუდიტორიები, a, b და c გარემო. გადამოწმდა რესურსის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ინვენტარიზაციის აქტები; მიღება-ჩაბარების აქტები; გადახდის ქვითრები; სასწავლო ლიტერატურის აღრიცხვის დოკუმენტაცია, თავად სასწავლოო რესურსები, საბიბლიოთეკო სერვისი და სხვა. უსაფრთხოობის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები და სხვა.

შემოწმდა პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა რაოდენობა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მეშვეობით.

ასვევ ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები, სტატუსის მოპოვების დოკუენტაცია, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების კანონმდებლობასთან შესაბამისობა და სხვა.

ექსპერტებმა გადაამოწმეს დაწესებულების ადამიანული რესურსის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მათთან დადებული ხელშეკრულებები, დანიშვნის ბრძანებები და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

ექპერტები გაესაუბრნენ ადმინისტრაციულ პერსონალს, პროგრამების ხელმძღვანელებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს. ექსპერტებმა შერჩევითობის პრინციპით განახორციელეს ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.	**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები**	მუხლი 6	☐	✓
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	✓	☐
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	✓	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	✓	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	✓

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	მუხლი 6 / პუნქტი ე)	✓	
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	მუხლი 6 / პუნქტი ვ)	✓	
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		მუხლი 7		✓
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	მუხლი 7 / პუნქტი ა)	✓	
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი. გარდა იმ შემთხვევისა. როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)	✓	
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)	✓	
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	✓	
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	მუხლი 7 / პუნქტი გ)		✓
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში. ასევე დაწესებულების მართვაში.	მუხლი 7 / პუნქტი დ)	✓	
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)		✓
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	✓	
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)	✓	
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)	✓	
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)	✓	
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 /	✓	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2018)

		პუნქტი ვ.დ)		
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)	✓	
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.	მუხლი 7 / პუნქტი თ)	✓	
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)	✓	
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8	✓	
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	მუხლი 8 / პუნქტი ა)	✓	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	მუხლი 8 / პუნქტი გ)	✓	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	მუხლი 8 / პუნქტი გ)	✓	

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა!

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ა) 1.4. **ქვესტანდარტი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება, ხოლო ამავე კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ასევე, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მე-19 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი, რაც არ იქნა გათვალისწინებული აკადემიის თანამშრომლების მიერ, ზემოაღნიშნულ არასრულწლოვან სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმებისას. (დანართი 1). შესაბამისად, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს თავისივე რეგულაციების აღსრულების ეფექტური მექანიზმები;

ბ) 1.4. **ქვესტანდარტი:** რეესტრის გადამოწმებით დგინდება, რომ ერთ-ერთ სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი. ამ სტუდენტის პირადი საქმის შემოწმებით კი დგინდება, რომ მისი პირადი განცხადების საფუძველზე, დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანება მასთან „აკადემიური შვებულების" გაფორმების შესახებ. დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 27-ე მუხლით განსაზღვრულია სტატუსის შეჩერების საფუძვლები და სტატუსის აღდგენის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესები, თუმცა დებულება, „აკადემიური შვებულების" ცნებას არ მოიაზრებს და არც არსად არ არის გაწერილი რეგულაციები, თუ როგორ და რა ვადებში უნდა მოხდეს „აკადემიურ შვებულებაში" გასული პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელება. (დანართი 2.). შესაბამისად, დაწესებულებამ პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესში უნდა გაწეროს სტატუსის შეჩერების ყველა გარემოება, სტატუსის აღდგენის შემდგომ სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის გზები და შექმნას მისი აღსრულების ეფექტური მექანიზმები;

გ) 2.3. **ქვესტანდარტი:** საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების (ბრძ. #01-41. 10.08.2015). 33-ე მუხლის (ბიბლიოთეკით სარგებლობის ისტრუქცია) მე-11 პუნქტის მიხედვით - „წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში ან ქსეროქსზე გადაიღოს მისთვის საჭირო ადგილები თუ მთელი წიგნი". თუმცა, მონიტორინგის ვიზიტის მომენტში ბიბლიოთეკაში არ იდგა ასლგადამღები/სკანერი და წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი გაცემული იყო ბიბლიოთეკიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

ასევე მონიტორინგის მომენტში დაფიქსირდა გარკვეული ლიტერატურა, რომელიც მითითებულია კურსების/მოდულების სილაბუსებში მაგრამ შესაბამისი რესურსი არ იძებნება ბეჭდურ და/ან ელექტრონულ რეესტრში და არც ფიზიკური ერთეული არსებობს;
ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უნდა გაავრცელოს ყველა პროცესზე, მათ შორის ბიბლიოთეკის საქმიანობაზე, რაც საშუალებას მისცემს დააფიქსიროს არსებული პრობლემები და თვითონვე მოახდინოს რეაგირება არსებულ დარღვევებზე.

დ) 2.5. **ქვესტანდარტი**: დაწესებულებაში არსებობს „საქმის წარმოების წესები" (დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. #01; 15.07.2014), რომლითაც განსაზღვრულია დოკუმენტბრუნვისა და წარმოების კონკრეტული მექანიზმები. დაწესებულებამ წარმოადგინა: შემოსული და გასული კორესპოდენციის, შიდა მოძრაობის დოკუმენტების რეგისტრაციის, ხელშეკრულებების და მემორანდუმების, ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები 2017, 2016, 2015 წლების, რომლებიც ნაწარმოებია შესაბამისი წესით, თუმცა დაწესებულებას არცერთი ზემოთაღნიშნული ჟურნალი 2018 წლისათვის შევსებული არ აქვს, თუმცა ზონარგაყრილი და ბეჭდით დამოწმებული, დალუქული ჟურნალები ადგილზე დევს. დოკუმენტებს (ბრძანებს, წერილებს და ა.შ.) მინიჭებულია აქვს შესაბამისი „სავარაუდო" რეგისტრაციის ნომრები, თუმცა არცერთი მათგანი ჟურნალებში გატარებული არ არის.
აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გაავრცელოს ყველა პროცესზე, მათ შორის საქმისწარმოებაზე, რაც საშუალებას მისცემს დააფიქსიროს არსებული პრობლემები და თვითონვე მოახდინოს რეაგირება არსებულ დარღვევებზე.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ა) 1.1. **სტანდარტი**: ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული „პრაქტიკოსი ექთნის" და „ფარმაცევტის თანაშემწის" საგანმანათლებლო პროგრამებში ფიგურირებს ჩანაწერი „საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. ასევე ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს - 16 კრედიტს" – (**დანართი 8**). საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტში კი ფიგურირებს, რომ (მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება; გვ.22) „კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

პროფესიული მოდულებიდან 20 კრედიტი" (**დანართი 4**) . <u>**სასურველია ჩასწორდეს აღნიშნული შეუსაბამობა მარეგულირებელ დოკუმენტსა და პროგრამებს შორის**</u>

ბ) **1.4. ქვესტანდარტი:** პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების 3.3 პუნქტში წერია, რომ სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტის მიმართ განხორციელდება საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები. თუმცა, სტუდენტები არ იცნობენ არც ამ დებულებას (გარდა 35-ე მუხლისა) და არც დაწესებულების შიდა სამართლებრივი აქტით გამოცემულ სწავლის საფასურის გადახდის წესს. გაცნობის ფურცელი, რომელიც პროფესიული სტუდენტების პირად საქმეებში დევს, ადასტურებს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ პროფესიული სტუდენტი გაეცნო დაწესებულების შინაგანაწესს და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მხოლოდ 35-ე მუხლს (უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა). დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, პროფესიულ სტუდენტებს გააცნონ დებულების ყველა ის მუხლი, რომელიც ეხება სწავლის საფასურის გადახდას, სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, აგრეთვე ყველა ის შიდა სამართლებრივი აქტი, რომელიც ამ მუხლების საფუძველზე გამოიცემა ან/და არეგულირებს ურთიერთობას დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის. (დანართი 3.)

გ) **1.4 ქვესტანდარტი:** დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 28-ე მუხლის მიხედვით, სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია დებულების, აკადემიის სხვა შიდასამართლებრივი აქტების უხეში ან/და სისტემატური დარღვევა, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს აკადემიას, მის პროფესიულ სტუდენტებს, თანამშრომლებს. თუმცა არსად არ არის განმარტებული რომელი დარღვევა ითვლება უხეშ დარღვევად და რა ითვლება მნიშვნელოვან ზიანად. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში (მუხლი 28) დაკონკრეტდეს, თუ რომელი დარღვევა წარმოადგენს უხეშ დარღვევას, რაც სტატუსის შეწყვეტის საფუძველია და რა ოდენობის ზიანი წარმოადგენს მნიშვნელოვან ზიანს. (დანართი 4.)

დ) **1.4. ქვესტანდარტი:** დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 27-ე მუხლის თანახმად, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდეს სტატუსი, ამავე ბრძანებაში მითითებული ვადით. აღნიშნული მუხლის საფუძველზე, ერთ-ერთი პროფესიული სტუდენტის მიმართ გამოცემულია დაწესებულების დირექტორის ბრძანება მისთვის სტატუსის შეჩერების შესახებ. ამ ბრძანებით განისაზღვრა, რომ 2017 წლის 28 იანვრამდე ფინანსური პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში ამ სტუდენტს შეუწყდებოდა სტატუსი, ხოლო სტატუსის შეწყვეტის ბრძანება გამოიცა 2017 წლის 27 თებერვალს. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შეწყვეტის ბრძანება გამოსცეს შეჩერების ბრძანებით განსაზღვრული ვადის ამოწურვის მომდევნო დღეს. (დანართი 5.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

ე) 1.6. **ქვესტანდარტი:** საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ვალიდურობის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია გამოკითხვები, შეფასების სხვა მექანიზმები და მათ საფუძველზე ანალიზის წარმოება შესაბმისი რეკომენდაციების შესამუშავებლად, ატარებდეს პერმანენტულ ხასიათს;

ვ) 2.6. **ქვესტანდარტი:** სამედიცინო მომსახურების უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია ექთნის ფუნქციების განმსაზღვრელ დოკუმენტში მიეთითოს კონკრეტული სამუშაო საათები, პროფესიულ სტუდენტთათვის ინფორმაციის გამჭვირვალობის მიზნით;

ზ) 2.6. **ქვესტანდარტი:** სასურველია დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესით"; მუხლი 35. - დანართი 15. - რომლითაც გაწერილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ზოგადი წესები, ასევე განისაზღვროს წესრიგის დაცვის წესებიც და უპრიანი იქნება ზემოთაღნიშნული წესები დაკონკრეტდეს ან გაიწეროს შესაბამისი პირების სამუშაო აღწერილობებში (ან ხელშეკრულებებში).

თ) 2.9. **ქვესტანდარტი:** ვინაიდან დაწესებეულებაში არსებული სტრატეგიული გეგმა მოიცავს ქმედებათა ჩამონათალს და სავარაუდო შესრულების, თარიღებს, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული კონკრეტულად რა შედეგის მიღწევას ცდილობს იგი, სასურველია დაწესებულების სტრატეგიული გეგმა ახალ სარეკომენდაციო ფორმაზე იყოს მორგებული, სადაც მოცემული იქნება ნიშნულები, რაც იძლევა საშუალებას მარტივად მოხდეს გეგმების შესრულების მონიტორინგი;

ი) 2.9. **ქვესტანდარტი:** სასურველია სტარტეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა მოამზადოს გასულის წლის ანგარიში (რაც განსაზღვრულია „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" - მუხლი:12), გაწეული მუშაობის შესახებ;

კ) 3.1 **ქვესტანდარტი:** შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას არ აქვს გაწერილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაწეროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ლ) 3.3. **ქვესტანდარტი.** დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 38-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ბათუმის სამედიცინო აკადემიის მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დანიშვნის შესახებ" აკადემიის დირექტორის 2015 წლის 19 აგვისტოს N10-47 ბრძანების მე-2 პუნქტის მიხედვით, ბათუმის სამედიცინო აკადემიამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნულ პირებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ ამ პირებთან ფაქტობრივად გაფორმებულია არა შრომითი, არამედ მომსახურების ხელშეკრულებები (რაც ზოგადად ერთგვარი შინაარსისაა და ადმინისტრაციის განმარტებით მექანიკური შეცდომაა). დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული უზუსტობის გასწორება და თავისივე შემუშავებულ რეგულაციებთან ხელშეკრულებების შესაბამისობაში მოყვანა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

მ) **3.3 ქვესტანდარტი:** დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთან დადებულ მომსახურების ხელშეკრულების მე-2 მუხლში, სადაც ჩანს მხოლოდ მოდულის დასახელება და არჩანს რომელი საგანმანათლებლო პროგრამის მოდულია ის, დაკონკრეტდეს, თუ რომელი პროფესიული პროგრამის მოდულის განხორციელება ევალება ამ პროფესიულ მასწავლებელს. (დანართი 6)

VII. დაწესებულების მისია

აკადემიის მისიაა შეიმუშაოს ჯანდაცვის მიმართულების ხარისხიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და უზრუნველყოს მისი რეალიზებით კვალიფიციური კადრების მომზადება როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის შრომის ბაზრისათვის.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულება მონიტორინგის ვიზიტის მომეტისათვის ახორციელებს უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტიკცებულ ოთხ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 17 ოქტომბრის #44 (2018 წლის 18 აპრილის #65

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

გადაწყვეტილებით მასში შეტანილია ცვლიელებები) და 2015 წლის 20 ოქტომბრის #41 გადაწყვეტილებებით დაწესებულებას უფლება მიენიჭა განახორციელოს მესამე საფეხურის საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „ექთნის თანაშემწე", „ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი" და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაები - „პრაქტიკოს ექთანი" (მეხუთე საფეხური), „ფარმაცევტის თანაშემწე" (მეოთხე საფეხური).

„ბათუმის სამედიცინო აკადემიის" – „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების" მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი განსაზღვრავს დირექტორის უფლება-მოვალეობებს (. ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო კურსების პროგრამებს მრჩეველთა საბჭოს წარდგინებით. ვ. ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების/მოდულების შემუშავების და მოდიფიცირების წესებს და ფორმებს, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ფორმებს, სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის წესებს და დღიურებს, უწყისისა და ცხრილის ფორმებს, ანკეტისა და განცხადების ფორმებს. უწყისის შევსების ინსტრუქციას დირექტორის მოადგილის წარდგინებით)

თითოეულ საგნობრივ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2016–17 სასწავლო წლის განმავლობაში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებების საფუძველზე პროგრამებმა განიცადა ცვლილებები, კერძოდ: და ფარმაცევტის თანაშემწის პროგრამებს დაემატა მოდულები სამოქალაქო განათლება და ქართული ენა A2 და B1. ზოგიერთმა მოდულებმაც შესაბამისად განიცადა ცვლილებები და იქნა დამტკიცებული აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე. (ბრძანებები №01–11. 12.03. 2016 წელი, №01–12. 14.03.2016 წელი,)
განხორციელების უფლების მოპოვების მომენტიდან დღემდე საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებულია შემდეგი ცვლილებები: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამებში ფარმაცევტის თანაშემწე და პრაქტიკოსი ექთანი დაემატა მე–12 პუნქტი „შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანალებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე ." (ბრძანება №01–12/ 27.03.2017 წელი.)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებაში მოქმედებს „პროფესიული სტუდენტის მიღწევების სახელმძღვანელო“ (დამტკიცებულია: დირექტორის ბრძანება #01-43; 12.08.2017). რომლითაც განსაზღვრულია პროგრამებში შეფასების მეთოდოლოგია.

ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორის ბრძანების № 01–44. 17.10.2016 წელი „მოდულურ პროგრამებზე განმსაზღვრელი შეფასების შესახებ“ საფუძველზე, (როგორც დაწესებულების ადმინისტრაცია განსაზღვრავს - პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით) შემოღებული იქნა განმსაზღვრელი შეფასება კომპონენტებით– ფრიადი, კარგი და დამაკმაყოფილებელი. რომლებიც აისახება შეფასების უწყისებში (დანართი 7).
საგნობრივ პროფესიულ პროგრამებში - შეფასების ნაწილში განსაზღვრულია დასკვნით გამოცდაზე დაიშვების მინიმალური ზღვარი:დასკვნით გამოცდაზე დაიშვება პროფესიული სტუდენტი, რომელსაც თეორიულ კომპონენტში დაგროვებული აქვს შუალედური შეფასებების მინიმუმ 11 ქულა, ხოლო პრაქტიკულ კომპონენტში შუალედური შეფასებების მინიმუმ 16 ქულა.
საგნობრივ პროგრამებში სილაბუსების შეფასება ზოგადად უნიფიცირებულია და მრავალკომპონენტიანი (მოიცავს თხუთმეტამდე ტიპის შეაფსებას), რაც ასევე დასტურდება შეფასების უწყისებით. თითოეულ კომპონენტს ჩაშლილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომლებიც ცალკე უწყისებშია წარმოდგენილი. **სასურველია შეფასების სისტემის გამარტივება კურსის სპეციფიკის შესაბამისად.**

ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული „პრაქტიკოსი ექთნის“ და „ფარმაცევტის თანაშემწის“ საგანმანათლებლო პროგრამებში ფიგურირებს ჩანაწერი „საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს ყველა სავალდებულო ზოგად და სავალდებულო პროფესიულ მოდულს. ასევე ითვალისწინებს არჩევით მოდულებს - 16 კრედიტს“ – (**დანართი 8**). საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტში კი ფიგურირებს, რომ (მუხლი 24. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შფასება; გვ.22) „კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 20 კრედიტი“ (**დანართი 4**) . სასურველია ჩასწორდეს აღნიშნული შეუსაბამობა მარეგულირებელ დოკუმენტსა და პროგრამებს შორის

საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას საწარმოო პრაქტიკის ბაზებთან გაფორმებული აქვს შესაბამისი მემორანდუმები/ხელშეკრულებები (შპს “PSP ფარმა”, „მედცენტრი“, „სასწრაფო დახმარების ცენტრი“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ონკოლოგიის ცენტრი“).

მონიტორინგის ფარგლებში ვიზიტი განხორციელდა ორი საწარმოო პრაქტიკის ბაზაზე („სასწრაფო დახმარების ცენტრი“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ონკოლოგიის ცენტრი“). დაწესებულებამ წარმოადგინა პრაქტიკის შესაბამისი განრიგი, პრაქტიკაზე/საწარმოო პრაქტიკის მოდულზე დაშვების შესაბამისი ბრძანებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

საწარმოო პრაქტიკის ბაზებზე ასევე განხორციელდა პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიურება მათი კმაყოფილების დადგენია და პროცესის მიმდინარეობის რეალური სურათის დადასტურების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბათუმის სამედიცინო აკადემიის მოდულური პროგრამებით (ფარმაცევტის თანაშემწე - მეოთხე საფეხური, პრაქტიკოსი ექთანი - მეხუთე საფეხური) - ცვლილებებით დამტკიცებულია: დირექტორის ბრძ. #01-26; 04.04.2018;
- ბათუმის სამედიცინო აკადემიის საგნობრივი პროგრამები (ექთნის თანაშემწე - მესამე საფეხური, ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხური) დამტკიცებულია დირექტორის ბრძ.#01-10; 7.08.2014;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით (მუხლი 24).
- საწარმოო ბაზებთან გაფორმებული მემორანდუმებით/ ხელშეკრულებებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით.

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს 2017 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც განთავსებულია ვებ გვერდზე. კატალოგში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, განხორციელებული პროფესიული პროგრამების ჩამონათვალი, ასახულია მიზნები, სწავლის შედეგები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კრედიტები და შეფასების წესები, შესაბამისად მოიცავს დაინტერესებული პირებისათვის საჭირო ინფორმაციას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

- ბათუმის სამედიცინო აკადემიის ვებ-გვერდზე http://www.bmeda.edu.ge განთავსებული კატალოგით;

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს, კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს, ხოლო ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების შემთხვევაში სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს და მოდულებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამებით, სილაბუსებით/მოდულებით;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებისა და დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მოდულური პროგრამების, პროფესიუ;ი სტანდარტებისა და საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შედარებით.
- პროფესიული კვალიფიკაციათა ჩარჩოთი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების (მუხლი 19), შეჩერების (მუხლი 27), შეწყვეტისა (მუხლი 28) და მობილობის წესები (მუხლი 26), ასევე მიღებული აქვს განათლების აღიარების წესები, რომელიც გაწერილია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებასა (მუხლი 29) და შრომის შინაგანაწესში.

დაწესებულება ამჟამად ახორციელებს „პრაქტიკოსი ექთნის", „ექთნის თანაშემწის", „ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტისა" და „ფარმაცევტის თანაშემწის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ პროგრამაზე სწავლობს 58 პროფესიული სტუდენტი, ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ პროგრამაზე - 37, ექთნის თანაშემწის პროფესიულ პროგრამაზე - 16, ხოლო ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის პროფესიულ პროგრამაზე - 15 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და შედარებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემასთან (evet.emis.ge), სადაც სწორად და ვადების დაცვით იყო ასახული პროფესიულ სუდენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია. შემოწმდა, თუ როგორ მოხდა პროფესიული სტუდენტების სტატუსის მოპოვება, რაც შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ წესს. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების 3.3 პუნქტში წერია, რომ სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტის მიმართ განხორციელდება საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით და შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები, თუმცა სტუდენტები არ იცნობენ არც ამ დებულებას (გარდა 35-ე მუხლისა) და არც დაწესებულების შიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

სამართლებრივი აქტით გამოცემულ, სწავლის საფასურის გადახდის წესს. გაცნობის ფურცელი, რომელიც პროფესიული სტუდენტების პირად საქმეებში დევს, ადასტურებს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ პროფესიული სტუდენტი გაეცნო დაწესებულების შინაგანაწესს და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მხოლოდ 35-ე მუხლს (უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა).

შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამტკიცებული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 28-ე მუხლის მიხედვით, სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია დებულების, აკადემიის სხვა შიდასამართლებრივი აქტების უხეში ან/და სისტემატური დარღვევა, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს აკადემიას, მის პროფესიულ სტუდენტებს, თანამშრომლებს. თუმცა არსად არ არის განმარტებული რომელი დარღვევა ითვლება უხეშ დარღვევად და რა ითვლება მნიშვნელოვან ზიანად.

დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 27-ე მუხლის თანახმად, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდეს სტატუსი, ამავე ბრძანებაში მითითებული ვადით. აღნიშნული მუხლის საფუძველზე, ერთ-ერთი პროფესიული სტუდენტის მიმართ გამოცემულია დაწესებულების დირექტორის ბრძანება მისთვის სტატუსის შეჩერების შესახებ. ამ ბრძანებით განისაზღვრა, რომ 2017 წლის 28 იანვრამდე ფინანსური პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში ამ სტუდენტს შეუწყდებოდა სტატუსი, ხოლო სტატუსის შეწყვეტის ბრძანება გამოიცა 2017 წლის 27 თებერვალს. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შეწყვეტის ბრძანება გამოსცეს შეჩერების ბრძანებით განსაზღვრული ვადის ამოწურვის მომდევნო დღეს.

პროფესიული სტუდენტების პირად საქმეებში ინახება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ერთი არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებაზე ხელს აწერს არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტი და არა მისი მშობელი ან წარმომადენელი. დაწესებულების უფლებამოსილმა თანამშრომლებმა ინტერვიურებისას განმარტეს, რომ აღნიშნული არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის დედა იმყოფებოდა საზღვარგარეთ, ხოლო მამას ავადმყოფობის გამო არ შეუძლია გადაადგილება. სტუდენტს ხელშეკრულების გაფორმებისას თან ახლდა და. დაწესებულების თანამშრომლებმა სტუდენტის დას დაურეკეს ვიზიტის პერიოდში და მოიყვანეს აკადემიაში. დამ დაადასტურა რომ დედა ნამდვილად საზღვარგარეთ იყო, ხოლო მამას არ შეუძლია გადაადგილება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება, ხოლო ამავე კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, რაც არ იქნა გათვალისწინებული აკადემიის თანამშრომლების მიერ ზემოაღნიშნულ არასრულწლოვან სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2018)

გარდა ამისა, ერთი-ერთი პროფესიული სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე, აკადმიის დირექტორის მიერ გამოცემულია ბრძანება ამ სტუდენტთან აკადემიური შვებულების გაფორმების შესახებ, თუმცა დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება „აკადემიური შვებულების" ცნებას არ მოიაზრებს, არსად არ არის გაწერილი რეგულაციები, თუ როგორ და რა ვადებში უნდა მოხდეს „აკადემიურ შვებულებაში" გასული პროფსიული სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელება. რეესტრის გადამოწმებით კი დგინდება, რომ აღნიშნულ სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი.

დაწესებულებას არ ჰქონია მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევები.

რეკომენდაციები:

ა) დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტებს გააცნოს დებულების ყველა ის მუხლი, რომელიც ეხება სწავლის საფასურის გადახდას, სტატუსის მოპოვებას, შეჩერებას, შეწყვეტას, აგრეთვე ყველა ის შიდა სამართლებრივი აქტი, რომელიც ამ მუხლების საფუძველზე გამოიცემა ან/და არეგულირებს ურთიერთობას დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის.

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში (მუხლი 28) დაკონკრეტდეს, თუ რომელი დარღვევა წარმოადგენს უხეშ დარღვევას, რაც სტატუსის შეწყვეტის საფუძველია და რა ოდენობის ზიანი წარმოადგენს მნიშვნელოვან ზიანს.

გ) დაწესებულებამ სტატუსის შეწყვეტის ბრძანება გამოსცეს შეჩერების ბრძანებით განსაზღვრული ვადის ამოწურვის მომდევნო დღეს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2015 წლის 10 აგვისტოს №01–41 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით - დანართი 4;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემით (evet.emis.ge);
- პროფესიულ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტების მიღების შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანებებით;
- პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით;
- პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანებით;
- პროფესიულ სტუდენტთან „აკადემიური შვებულების გაფორმების შესახებ" დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

შეფასება:

☐ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
✓ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოიაზრებს ალტერნატიულ პროგრამაზე გადაყვანას ან მობილობის ხელშეწყობას იმ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომლების განახორციელებელ ანალოგიურ პროგრამას/ებს და ვისთანაც გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმი.:

- შპს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემია;
- სსიპ შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- პროფესიული კოლეჯი „ბლექსი";
- ა(ა)იპ წმ.ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" - ბრძ. #01-41; 20,08.2015 – (დანართი 4);
- გაფორმებული მემორანდუმებით;

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები" (დამტკიცებულია: ბრძ.01-07; 04.08.2014 - **დანართი 10**), რითაც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმების შემუშავებისა და სწავლების ხარისხის შეფასების მექანიზმები, რაც მოიცავს განმახორციელებლების, კურსდამთავრებულების, პროფესიული სტუდენტების, ჯგუფის შეფასებას მასწავლებლის მიერ, კურსდამთავებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზს და სხვ.

მოდულური პროგრამის ფარგლებში ნაწარმოებია შემდეგი სახის მონიტორნგი/გამოკითხვა:

- შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მოდულებზე დასწრების გრაფიკი;
- ამავე ჯგუფის ანგარიშები;
- საკონტაქტო საათებზე დასწრების კითხვარი;
- შეფასების ინსტუმენტების წინასწარი კონტროლის ამსახველი დოკუმენტაცია
- კითხვარი მასწავლებლებისათვის და ა.შ.

ანალიზის შედეგად ხარისხის სამსახურს შემუშავებული აქვს რეკომენდაციები...

დირექტორის ბრძანებების შესაბამისად შექმნილი შიდა მონიტორინგის სამსახური შემუშავებული გეგმის საფუძველზე ახდენს მეცადინეობებზე დასწრებას, ხდება გამადინეობების განხილვა, ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა. ხდება პროგრამის განმახორციელებლების კონსულტირება. პერიოდულად ხარისხის სამსახური ატარებს ტრენინგებს პროგრამის განმახორციელებლებთან, რაც მათივე განმარტებით, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. შემუშავებული კითვარების დახმარებით ხდება პროფესიული სტუდენტის, მოდულის განმახორციელებლების, კურსდმთავრებულთა გამოკითხვა. გამოკითხვის დასრულების შემდეგ ხდება შედეგების გაანალიზება, პრობლემების იდენტიფიკაცია და რეკომენდაციების შემუშავება, რაც აისახება სასწავლო კურსების/მოდულებისა და საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფის პროცესში.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2016 წლის შევსებული კითხვარები და ანალიზის შედეგები, რითაც მოხდა საგნობრივი პროგრამების შეფასება, ასევე შიდა მონიტორინგის ოქმები.

<u>სასურველია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას ჰქონდეს პერმანენტული ხასიათი.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინტერვიურებით;
- კურსების/მოდულების განმახორციელებლებთან ინტერვიურებით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიურებით და ფაქტობრივი მასალით;
- აკადემიის დირექტორის 2015 წლის 12 აგვისტოს N 01-44 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებითა და თანდართული ანკეტებით.
- აკადემიის დირექტორის ბრძანებები №01–42 27.09.2016 წელი და №01–01 09.01. 2017 წელი „პირველი და მეორე ეტაპის შიდა მონიტორინგის ჩატარების შესახებ"

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიას იჯარით აღებული აქვს 510 კვ.მ ფართი შენობის მე-4 და მე-5 სართულებზე. შენობა უზრუნველყოფილია ლიფტით. იჯარის ვადაა 2018 წლის 01 სექტემბრამდე. (საკადასტრო კოდი - №[redacted] - **დანართი 11.**

საჯარო რეესტრის ამონაწერით იჯარის ხელშეკრულების დამოწმების თარიღია: 11.03.2014 თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა 2013 წელს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 სექტემბრამდე. **(დანართი 12)**

ასევე წარმოადგინა შეთანხმების აქტი 28/06/2016 რომლის მიხედვით შეთანხმება ძალაშია 2018 წლის 1 სექტემბრის ჩათვლით. **(დანართი 11)**

დაწესებულების დირექტორის ადმინისტრაციის განმარტებით, სამედიცნო დაწსებეულება, რომლისგანაც ბათუმის სამედიცინო აკადემიას იჯარით აღებული აქვს ფართი, გეგმავრ რეორგანიზაციას უახლოეს პერიოდში, შესაბამისად განახლდება იჯარის ხელშეკრულებაც.

აკადემიას მფლობელობაში არსებული ფართი გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზებისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის დაგენილ ავტორიზაციის სტანდარტებს.

შენობა სრულყოფილად აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. დაწესებულებაში არის ყველა ის ტექნიკური აღჭურვილობა, რაც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.

საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით ბათუმის სამედიცინო აკადემიას გაფორმებული აქვს შესაბამისი მემორანდუმები ((„სასწრაფო დახმარების ცენტრი", „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ონკოლოგიის ცენტრი", ბათუმის ფარმაცევტული ქარხანა).

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქ. ბათუმი, პუშკინის ქ.N 118	510 კვ.მ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- იჯარის ხელშეკრულებით;
- შეთანხმების აქტით;
- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან;
- საექსპლიკაციო შიდა აზომვითი ნახაზით (**დანართი 16).**
- საწარმოო პრაქტიკის ბაზებთან გაფორმებული მემორანდუმებით;

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით (მერხებითა და სკამებით, დაფებით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომპიუტერები, პრინტერები, პროექტორები). მატერიალური რესურსი (სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელელთა სამუშაო ოთახები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს და იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

აკადემია საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში, იყენებს საინფორმაციოსაკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. კომპიუტერები და ინტერნეტი დროის ნებისმიერ მონაკვეთში ხელმისაწვდომია როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისათვის. კომპიუტერულ კლასში არსებული კომპიუტერების (10 ერთეული) პროგრამული უზრუნველყოფა შესაბამისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების.

სასწავლო პროცესის წარმართვისათვის გამოიყენება სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიებითეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. ბიბლიოთეკა სამკითხველო დარბაზით. აკადემიაში ფუნქციონირებს ერთი კომპიუტერული კლასი (B გარემო - 1), თერთმეტი ერთეული სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერით. თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების წარმართვის მიზნით გამოიყენება პროექტორები და მონოტორები.

მოდულური სწავლებისათვის განკუთვნილი სასწავლო ოთახებში (4 – A და 2 – C გარემო) განთავსებულია, შესაბამისი მულაჟები, სათანადო მატერიალური რესურსი, პლაკატები, კარადებში განთავსებულია მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები (დაწესებულება აწარმოებს სახარჯი მასალის შესაბამის აღიცხვას). სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2018)

სასწავლო განთავსებული ტექნიკური აღჭურვილობა შეესაბამება მოდულებით განსაზღვულ ტექნიკურ აღჭურვილობას. ასევე ცალკეა მოწყობილი „ექთნის თანაშემწისა" და „ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის" საგნობრივი პროგრამებისათვის განკუთვნილი ოთახები;

აკადემიას საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული საწარმოო პრაქტიკის სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, გაფორმებული აქვს შესაბამის დაწესებულებებთან მემორანდუმები/ხელშეკურლებები. თითოეული საწარმოო პრაქტიკის ბაზა მასზე განთავსებული შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფს საწარმოო პრაქტიკის მაღალი ხარისხით რეალიზებას.

მონიტორინგის ვიზიტისას შერჩევითად განხორციელდა ორი პრაქტიკის ბაზის გადამოწმება, სადაც პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი პირობებია შექმნილი.

<u>მონიტორინგის ვიზიტის დროს ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა პრინტერი. ადმინისტრაციის განმარტებით, სასწავლო პროცესი ადგილზე დასრულებულია (სტუდენტები საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე არიან), შესაბამისად საჭიროების გამო სხვა ოთახშია გატანილი, თუმცა ის რეალურად არსებობს.</u>

<u>სასურველია ბიბლიოთეკაში განათავსონ პრინტერი, მით უმეტეს, რომ სასწავლო ლიტერატურა ძირითადად თითო ეგზემლარითაა წარმოდგენილი;</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- საკუთრების ფლობის შესაბამისი დოკუმენტაციით;
- საწარმოო ბაზებთან გაფორმებული მემორანდუმებით/ ხელშეკრულებებით.

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

დაწესებულებაში შექმნილია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი ფართი აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი შესაბამისი ინვენტარით, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემით, ბუნებრივი განათებით. დაწესებულებაში არსებობს ცენტრალური გათბობის სისტემა.

დაწესებულები მიერ წარმოდგენილი „შეთანხმების აქტით" დასტურდება, რომ კომუნალური გადასახადების გადახდას აწარმოებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ონკოლოგიის ცენტრი", საიჯარო ქირის ოდენობით განსაზღვრული თანხის ფარგლებში;

დადასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- საკუთრების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
- შეთანხმების აქტით;

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული წიგნადი ფონდი, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში/მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. დაწესებულებაში არსებული წიგნადი ფონდი განთავსებულია სერვერზე ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემაში „openbiblio", თუმცა კურსების/მოდულების სილაბუსებში მითიტებული რიგი ლიტერატურა ბიბლიოთეკაში ან საერთოდ არ იძებნება, ან ვიზიტის მომენტისათვის გატანილის ბიბლიოთეკიდან შესაბამისი აღრიცხვისთუმცა წესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკოსი ექთნის და ფარმაცევტის თანაშემწის განხორციელებისთვის საჭირო რიგი ლიტერატურა და უმეტესი სასწავლო რესურსები (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოები) ჩატვირთულია დაწესებულების სამკითხველოს, ასევე ამ პროგრამის განხორციელებისათვის განკუთვნილ აუდიტორაში და ჩაწერილია CD დისკებზე და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, <u>თუმცა არ არის გატარებული საბიბლიოთეკო წესით</u>

ბიბლიოთეკის გადამოწმების დროს დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები:

ფარმაცევტის თანაშემწე - მოდული:

- მეწარმეობა 2 - სასწავლო რესურსი კანმდებლობაა და მითიტებულია ბსა ელ.ბიბლიოთეკა, თუმცა შესაბამისი ელ.ვერსიები ბიბლიოთეკაში არ იძებნება;

პრაქტიკოს ექთანი - მოდულები:

- თავისა და კისრის პათოლოგიებით პაციენტის საექთნო მართვა - **არ იძებნება:** ყურის, ცხვირის და ყელის დაავადებანი, ა. ჩაგე,ლკიშვილი. 1986. თბილისი, განათლება.
- თერაპიული პაციენტის საექთნო მოვლა - ადამიანის უფლბები და ჯანდაცვა CD 2011 - **არ იძებნება;**
- ადამიანის უფლებები ჯანდაცვის სფეროში - CD. 2011 - **არ იძებნება;**
- ექთან-ანესთეზისტის საქმე - ზოგადი ქირურგია - ნ.გრიგოლია. 2005. 1 ეგზემპლარი არსებობს და გატანილია ბიბლიოთეკიდან;
- „პალიატიური მზრუნველობა" - დ.კორძაია, თ.რუხაძე, , ხ.დოლიძე - **არ იძებნება** არც ადგილზე, არც ელ.ბიბლიოთეკაში, არც გატარების ჟურნალში;
- ადამიანის ანატომია ფიზიოლოგიითა და პათოლოგიით, რ.ხეცურიანი - 1994 2. – 1 ეგზემპლ. **გატანილია ბიბლიოთეკიდან'**
- მიკრობიოლოგია - ი.სუტინი, გ,ფინი, ლ.ზელინსკაია - **არ იძებნება;**
- მეანობა - ვ.ბოდიაჟინა, ე.სეროვი - 1 ეგზემპლ. - **გატანილაია ბიბლიოთეკიდან** (ვიზიტის მომენტში დაბრუნებულ იქნა ბიბლიოთეკაში);
- გინეკოლოგია - ლ.ვასილევსკაია 2011 - 1 ეგზემპლ.- **გატანილია ბიბლიოთეკიდან;**
- ხარკევჩი - ფარმაკოლოგია - 1 ეგზემპლ. - **გატანილია ბიბლიოთეკიდან;**

„საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელიდებულება" (ბრძ. #01-41. 10.08.2015 - დანართი 4). მუხლი 33. ბიბლიოთეკით სარგებლობის ისტრუქცია. პუნქტი 11. - წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს მხოლოდ თითო ეგზემპლარი, გამონაკლისის გარეშე, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა. ასეთი წიგნებით სტუდენტს შესაძლებლობა აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

ისარგებლოს მხოლოდ სამკითხველო დარბაზში ან ქსეროქსზე გადაიღოს მისთვის საჭირო ადგილები თუ მთელი წიგნი" .

<u>პროფესიული სტუდენტის სასწავლო რესურსებით უწყვეტი უზრუნველყოფის მიზნით, ერთი ეგზემპლარის არსებობის შემთხვევაში ბიბლიოთეკიდან წიგნი არ უნდა გაიცეს და ზოგადად გაიზარდოს კონკრეტული სასწავლო ლიტერატურის რაოდენობა;</u>

<u>მონიტორინგის ვიზიტის მომენტში ბიბლიოთეკაში განთავსებული იყოს 2 კომპიუტერი (1 - ბიბლიოთეკარის, 1 - სტუდენტების სრგებლობისათვის), თუმცა არ იყო განთავსებული ქსეროქსი/სკანერი.</u>

ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოტეკით სარგებლობის წესი; არსებული წიგნები დამუშავებულია; ბიბლიოთეკა მოიცავს სამკითველო სივრცეს და უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით;
- საბიბლიოთეკო ფონდში არსებული წიგნების ფლობისა და შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტებით, ასევე ნაჩუქარი წიგნების მიღება–ჩაბარების აქტებით,
- გატანის ბარათებით

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
✓ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება ფლობს 23 ერთეულ კომპიუტერს, აქედან ადმინისტრაციული პერსონალისთვის განკუთვნილი 4 კომპიუტერი, ხოლო 19 გამოიყენება სასწავლო პროცესისათვის (მათ შორის 2 - ბიბლიოთეკაში, ხოლო 11 B ტიპის აუდიტორიაშია წარმოდგენილი). ფაქტობრივი მდგომარეობით, პროფესიულ მასწავლებლებთან და სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება დაწესებულების პროფესიული მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, რაც მათივე განმარტებით საშუალებას იძლევა მეცადინეობები უფრო საინტერესოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

წარიმართოს. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, საპრეზენტაციო აღჭურვილობა და ინტერნეტის ქსელი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული სტუდენტების/მასწავლებლების/ადმინისტრაციის ინტერვიურებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- საკუთრების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციითა და შესაბამისი ხელშეკრულებით.
- ინტერვიურებით;

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს „საქმის წარმოების წესები" (დანართი 17) დამტკიცებულია დირექტორის ბრძ. #01; 15.07.2014 - რომლითაც განსაზღვრულია დოკუმენტბრუნვისა და წარმოების კონკრეტული მექანიზმები. დაწესებულებამ წარმოადგინა: შემოსული და გასული კორესპოდენციის, შიდა მოძრაობის დოკუმენტების რეგისტრაციის, ხელშეკრულებების/მემორანდუმების, ბრძანებების რეგისტრაციის ჟურმნალები 2017, 2016, 2015 წლების, რომლებიც ნაწარმოებია შესაბამისი წესით, <u>თუმცა დაწესებულებას არცერთი ზემოთაღნიშნული ჟურნალი 2018 წლისათვის შევსებული არა აქვს, თუმცა ზონარგაყრილი და ბეჭდით დამოწმებულ.დალუქული ჟურნალები ადგილზე დევს. დოკუმენტებს (ბრძანებს, წერილებს და ა.შ.) მინიჭებულია აქვს შესაბამისი „სავარაუდო" რეგისტრაციის ნომრები, თუმცა არცერთი მათგანი ჟურნალებში გატარებული არ არის (დანარ13).</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი მდგომარეობით (დანართი 13)
- „საქმის წარმოების ერთიანი წესებით";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

- პრაქტიკაზე გაშვების წერილი;

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
✓ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა) აკადემია აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმებითა და ინვენტარით. 2016 წელს შენობაში დამონტაჟდა თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგი სისტემა. დაწესებულებაში არსებობს უსაფრთხოების დაცვის შესახებ განკარგულება - **დანართი 14)** აკადემიის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და ევაკუაციის ინსტრუქცია, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხოდ დატოვება. აღნიშნულ პროცედურებზე ინფორმაცია განთავსებულია აკადემიის ვებ-გვერდზე და ინფორმირებულია აკადემიის დაინტერესებული პირები.

გ) დაწესებულება უზრუნველყოფს პირველად სამედიცინო მომსახურეობას, რისთვისაც აკადემიის დირექტორის ბრძანებით შესაბამისი სამედიცინო განათლების მქონე პირი დანიშნულია სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად (ექთანი - **დანართი 14)** - <u>თუმცა მისი სამუშაო საათები გამოკვეთილი არ არის (თუ არ გავითვალისწინებთ ზოგად შინაგანაწესს, რომელიც ყველა თანამშრომლის ზოგად სამუშაო საათებს განსაზღვრავს).</u> აკადემიაში არსებობს სპეციალური სამედიცინო კაბინეტი სადაც განთავსებულია მედიკამენტები, არსებობს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ყველა პირობა. მედიკამენტები ექვემდებარება აღრიცხვასა და სისტემატიურ გადამოწმებას. გარდა ამისა აკადემია განთავსებულია სამედიცინო კლინიკის შენობაში და გაფორმებული აქვს სპეციალური მემორანდუმი სამედიცინო კლინიკასთან პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის დამატებითი მექანიზმების შესახებ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(თბილისი, 2018)

დ) შენობა დაცულია 24 საათის განმავლობაში შენობის ცენტრალიზებული დაცვის სამსახურის მიერ (არსებული იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში; მუხლი 2), გარდა ამისა აკადემიას შიდა უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით (ადმინისტრაციის განმარტებით) დამატებით დანიშნული ყავს დაცვის თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს მისი უფლება-მოვალეობების შესრულებას, თუმცა კომკრეტული მექანიზმი, რითაც უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნულმა პირმა გაწერილი არ არის (ბრძანებით, ხელშეკრულებით და/ან სამუშაოს აღწერილობით), მარეგულირებელი წესით კი მხოლოდ ზოგადი მექანიზმებია გაწერილი (დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესით"; მუხლი 35.).

დაწესებულების „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი წესით"; მუხლი 35. - **დანართი 15.** - რომლითაც გაწერილია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ზოგადი წესები. სასურველია აქვე იყოს წარმოდგენილი წესრიგის დაცვის წესებიც.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით;
- ევაკუაციის გეგმით;
- დაწესებულების ჯანმრთელობის დაცვის წესებით;
- ადმინისტრაციის წარმომადგენლების ინტერვიურებით;

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. კერძოდ, უნარშეზღუდული პირების გადაადგილებისათვის აკადემიის პირველ სართულზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

შემოსვლა უზრუნველყოფილია შესაბამისი პანდუსით, ხოლო თავად შენობაში გადაადგილება შესაძლებელია ადაპტირებული ლიფტის და პანდუსის მეშვეობით. ადაპტირებულია გარემო სველ წერტილებში დამოუკიდებლად მოძრაობისათვის. შემუშავებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების მომსახურებით უზრუნველყოფის წესი, რომელიც განსაზღვრულია აკადემიის „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით" მუხლი 32.), რომლის თანახმადაც აკადემიის დაცვის სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია აღნიშნულ პირებს აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება, რაც უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ გადაადგილებას აკადემიის შენობაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების უზრუნველყოფის (მუხლი 32.).

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი www.bmeda.edu.ge, რომელიც ასრულებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: აკადემიის მისია, ისტორია, სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა; უსაფრთხოების წესები; საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი; სასწავლო პროცესის რეგულაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია; სტუდენტთა მომსახურების სერვისები; ინფორმაცია ბიბლიოთეკის შესახებ; ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი; საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტოგალერეა; ინფორმაცია აკადემიის პერსონალის შესახებ და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

აკადემიის ვებ-გვერდი დიზაინითა და შინარსიით ორიენტირებულია მომხმარებელზე, ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- აკადემიის ვებ-გვერდით www.bmeda.edu.ge
- დომენის ხელშეკრულებით
- ხელშეკრულებით მომსახურების თაობაზე.
- ჰოსტინგის სერვისით მომსახურეობის ხელშეკრულება.

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9. შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემიას მისიიდან გამომდინარე შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, რომლებშიც დეკლარირებულია აკადემიის სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები, ამასთანავე დეტალურადაა გაწერილი განსახორციელებელი აქტივობები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, დამსაქმებლებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების ფორმები და შესაძლებლობები, თითეული დაგეგმილი აქტივობის მოსალოდნელი შედეგი, ასევე სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია აკადემიის სტრტეგიული განვითარების მიმართულებები: საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; ადამიანური რესურსი; ადმინისტრირება. სტრატეგიული განვითარების გეგმის სქემა მოიცავს დაგეგმილი აქტივობების, პასუხისმგებელი პირების, ვადებისა და მოსალოდნელი შედეგების ჩამონათვალს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შექმნილია ერთწლიანი სამოქმედო გეგმები 2015-2016; 2016-2017; რომელთა შესაბამისად „სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი მონიტორინგსა და შეფასებას უკეთებს აკადემიის სტრატეგიული განვითარების დინამიკას" („საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება" - მუხლი: 12), თუმცა გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა, მართალია მარეგულირებელ დოკუმენტში ჩაშლილი არ არის რა პერიოდულობით ან რა ფორმით უნდა მოხდეს ანგარიშის წარდგენა, მაგრამ სასურველია სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს მიეცეს რეკომედაცია მოამზადოს გასული წლის ანგარიში და შემდგომში ყოველი წლის ბოლოს მონიტორიგის შედგები მოახსენოს დაინტერესებულ პირებს.

2017-2018 სამოქმედო გეგმა (დამტკიცებულია: ბრძ. #01-47; 22.09.2017) მოიცავს ყოველთვიურ სხდომებს, მხარდაჭერის ჯგუფების სამუშაო გეგმის განხილვა ს და ა.შ,

სასურველია სტრატეგიული გეგმა ახალ სარეკომენდაციო ფორმაზე იყოს მორგებული, სადაც მოცემული იქნება ნიშნულები, რაც იძლევა საშუალბას მარტივად მოხდეს გეგმების შესრულების მონიტორინგი;

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სტრატეგიული განვითარების გეგმით (სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი - 6 წლიანი და მოკლევადიანი ერთწლიანი გეგმები) - დამტკიცებულია დირექტორის 2014 წლის 4.08. #01-04 ბრძანებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულებას ჰყავს 11 თანამშრომელი. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას არ აქვს გაწერილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაწეროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ბიბლიოთეკარისა და ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, რაც დასტურდება მათ პირად საქმეებში არსებული განათლებისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

პირად საქმეებში დევს გაცნობის ფურცელი, რომელიც ადასტურებს თანამშრომელთათვის შრომის შინაგანაწესისა და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების გაცნობას.

შრომის შინაგანაწესითა და ბიბლიოთეკის დებულებით განსაზღვრული სამუშაო საათები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შრომის შინაგანაწესით;
- პერსონალის დანიშვნის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანებებით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- ინტერვიურებით.

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

დაწესებულებას ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების 47 მასწავლებელი, რომლებიც შერჩეულია „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 12[1] მუხლის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად.

ექსპერტების მიერ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეების გადამოწმებით დგინდება, რომ მათი განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის რაოდენობაა - 126

დაწესებულებაში პროფესიული მასწავლებლის რაოდენობა - 47

დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის და პროფესიული მასწავლებლის თანაფარდობა - 126/47

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემაში (evet.emis.ge) სწორად იყო შეყვანილი სტუდენტების და მასწავლებლების რაოდენობა.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა როგორც საგნობრივი, ასევე მოდულური პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებლებთამ ინტერვიუირება, საიდანაც ირკვევა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს პერმანენტულ შეხვედრებს კურსების/მოდულების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით; მოდულის ჩატარების სპეციფიკის, სტუდენტთა შეფასების სისტემაში გარკვევის, მტკიცებულებების შეგროვებისა და პროფესიული მასწავლებლებისათვის საინტერესო საკითხების შესახებ. შესაბამისად დგინდება, რომ პროფესიული მასწავლბელების კვალიფიკაციის ამაღლება და მათი საჭიროებების დაკმაყოფილება უზრუნველყოფილია დაწესებულების მიერ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემიდან მიღებული ინფორმაცია (evet.emis.ge);
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით.
- ინტერვიურებით;

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2018}

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევა და მათთან ხელშეკრულებების გაფორმება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით. თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 38-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ბათუმის სამედიცინო აკადემიის მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დანიშვნის შესახებ" აკადემიის დირექტორის 2015 წლის 19 აგვისტოს N10-47 ბრძანების მე-2 პუნქტის მიხედვით, ბათუმის სამედიცინო აკადემიამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნულ პირებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ ამ პირებთან ფაქტობრივად გაფორმებულია არა შრომითი, არამედ მომსახურების ხელშეკრულებები. გარდა ამისა, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებულ მომსახურების ხელშეკრულებებში (მუხლი 2), მართალია ჩანს მოდულის დასახელება, თუმცა უნდა დაკონკრეტდეს, თუ რომელი პროფესიული პროგრამის მოდულის განხორციელება ევალება მასწავლებელს.

რეკომენდაცია:

ა) დაწესებულებას არ აქვს გაწერილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. მიეცა რეკომენდაცია გაწეროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ბ) დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების 38-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „ბათუმის სამედიცინო აკადემიის მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დანიშვნის შესახებ" აკადემიის დირექტორის 2015 წლის 19 აგვისტოს N10-47 ბრძანების მე-2 პუნქტის მიხედვით, ბათუმის სამედიცინო აკადემიამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნულ პირებთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება, მაგრამ ამ პირებთან ფაქტობრივად გაფორმებულია არა შრომითი, არამედ მომსახურების ხელშეკრულებები, <u>მაგრამ ამ პირებთან ფაქტობრივად გაფორმებულია არა შრომითი, არამედ მომსახურების ხელშეკრულებები (რაც ზოგადად ერთგვარი შინაარსისაა და ადმინისტრაციის განმარტებით მექანიკური შეცდომაა). დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული უზუსტობის გასწორება და თავისივე შემუშავებულ რეგულაციებთან ხელშეკრულებების შესაბამისობაში მოყვანა.</u>

გ) პროფესიული განათლების მასწავლებელთან დადებულ მომსახურების ხელშეკრულებებში (მუხლი 2), მართალია ჩანს მოდულის დასახელება, თუმცა უნდა დაკონკრეტდეს, თუ რომელი პროფესიული პროგრამის მოდულის განხორციელება ევალება ამ პროფესიულ მასწავლებელს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ბათუმის სამედიცინო აკადემიის მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დანიშვნის შესახებ" აკადემიის დირექტორის 2015 წლის 19 აგვისტოს N10-47 ბრძანებით;
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებებით;
- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით.
- ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

✓ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

IX. თანდართული დოკუმენტაცია

ვიზიტის დღის წესრიგი დანართი N 1

ქვემოთხსენებული დანართები ჩაბარდა დასკვნის პროექტთან ერთად

დანართი 1 - მასალა არასრულწლოვანი სტუდენტის პირადი საქმიდან.
დანართი 2 - აკადემიურ შვებულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
დანართი 3 - სტუდენტის ხელშეკრულება, გაცნობის ფურცელი, საფასურის გადახდის წესის ბრძანება;
დანართი 4 - საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
დანართი 5 - სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის ბრძანებები;
დანართი 6 - პერსონალის დანიშვნის შესახებ "აკადემიის დირექტორის 2015 წლის 19 აგვისტოს N10-47 ბრძანება. მომსახურების ხელშეკრულება.
დანართი 7- ბრძანება მოდულურ პროგრანებზე განმსაზღვრელი შეფასების შესახებ; უწისებ;
დანართი 8 - მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
დანართი 9 - მონიტორინგის ჯგუფის წევრთა სამუშაო დღის წესრიგი;
დანართი 10 - საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმი;
დანართი 11 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; შეთანხმების აქტი;
დანართი 12 - იჯარის ხელშეკრულება ;
დანართი 13 – დოკუმენტბრუნვის აღრიცხვის ჟურნალები;
დანართი 14 - სამედიცინო დახმარების შესახებ განკარგულება;
დანართი 15 - უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები;
დანართი 16 - შენობის აზომვითი ნახაზი;
დანართი 17 - საქმისწარმოების ერთიანი წესები;

ქ. თბილისი. 4.07.2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: